ᲓᲐᲜᲐᲪᲐᲠᲘ

თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა
Industrial Heritage of Tbilisi

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ | TABLE OF CONTENT:

რედაქტორის სვეტი — 03
Editor's Note

თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა — 04
ნატალია ნებიერიძე, თამთა გაჩეჩილაძე — 05
Industrial Heritage of Tbilisi
Natalia Nebieridze, Tata Gachechiladze

თამბაქოს ქარხანა — 06
The Tobacco Factory

თბილისის წისქვილკომბინატი იგივე ფქვილის ქარხანა — 08
The Flour Milling Plant of Tbilisi

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა — 10
The Tea Weighing Plant of Tbilisi

კარკასულ - პანელოვანი ქარხანა ,,მაღლივმშენი" — 12
The Framework and Panel Factory *Maghlivmsheni*

თბილისის ,,სამთრესტის" ძმრის ქარხანა — 14
The Vinegar Factory of *Samtresti* of Tbilisi

თბილაბრეშუმი — 16
Tbilabreshumi

ნაციონალური პურის ქარხანა — 18
დავით ბოსტანაშვილი — 21
The National Bread Factory
David Bostanashvili

რუკა — 22
The Map

დანართის რიგით მე-16 ნომერი, თბილისის ინდუსტირული მემკვიდრეობის კვლევას ეძღვნება.

თბილისის ინდუსტირული მემკვიდრეობის კვლევა, 2020 წელს, ნატალია ნებიერიძეს და არქიტექტურული კომპანიის MUA -ს ინიციატივით დაიწყო და ეს უკანსკნელი ქალაქში არსებული რესურსის აღმოჩენის და შესწავლის სურვილმა განაპირობა. ყოფილი საწარმოო ტერიტორიების და ინდუსტრიული ნაგებობების აღრიცხვის და კატეგორიზაციის შედეგად 250 შენობა გამოვლინდა და პროექტმა ინტერდისიპლინირაული ხასიათი მიიღო, მასში მონაწილეობდნენ არქიტექტორები, არქიტექტურის თეორიის მკლევარი, ფოტოგრაფი და ხმის ინჟინერი.

მოცემულ ნომერში, შერჩეულია რამდენიმე არქიტექტურული კომპლექსი. პირველი ობიექტი მე-20 საუკუნის 10-ანი წლებით, ხოლო ბოლო, მე-20 საუკუნის გვიანი 80-იანი წლებით თარიღდება. თბილისის, როგორც პოსტ საბჭოთა ქალაქის, სწრაფი ინდუსტრალიზაციის პროცესი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ - იდეოლოგირ პროცესებს უკავშირდება. ჩვენი სურვილი იყო, შენობა - ნაგებობათა ქრონოლოგიური სელქციით და თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობის მრავალფეროვანი სურათის ჩვენებით, საბჭოთა საქართველოს ინდუსტირული არქიტექტურის განვითარების ხაზი გამოგვეკვლინა.

ანა ჩორგოლაშვილი

The 16th issue of Danarti is dedicated to the Industrial Heritage of Tbilisi. The research project, which was initiated by Natalia Nebieridze togather with the architectural company MUA in 2020, aims to discover and further examine the city's resources. Inspecting and categorizing numerous former enterprise territories and industrial buildings, the research discovered as many as 250 structures. The project adopted an interdisciplinary character and expanded through the individuals working in different disciplines: architects, architecture theory researcher, a photographer and a sound engineer.

In the following issue we have cited a few architectural complexes; from the first object, dated with the first decade to the one from the late 80s of the 20th century. The processes in the former-Soviet city Tbilisi, i.e its fast industrialization, is naturally connected to the political, economical and cultural-ideological proceedings of the Soviet Union. Our desire, by making a chronological selection of these buildings, as well as by showing Tbilisi's industrial heritage in its multiple colors, was to illustrate and reflect on the development of the industrial architectural path of Soviet Georgia.

Ana Chorgolashvili

თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა ნაგვალია ნებისერიძე, თამთა გაჩეჩილაძე

თანამედროვე სამყაროში ყველა სივრცე განსაზღვრულია. გარკვეული ადგილები სოციუმთან ერთად საკუთარ წესებს ქმნიან, ტრადიციები გვთავაზობენ, ზოგჯერ კი გვკარნახობენ ურთიერთობის ფორმებს... განუსაზღვრელი სიცარიელე შეიძლება გავიგოთ როგორც მეტაფორა და ნიშანი ახალი ხდომილებისთვის. ყოფილი ინდუსტრიული ნაგებობების უხილავი მნიშვნელობები სადღაც აქვეა, საკუთარი არარსებული არსებობით წარმოდგენილნი.

უხილავი ლანდშაფტი
მიტოვებულობის ნარატივი

მოცემული ტექსტი იმ კომპლექსური მოვლენების გადმოცემის მცდელობაა, რომლებიც თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობის დღევანდელ სურათს ქმნიან.

ინდუსტრიული ტერიტორიების შესწავლის სურვილი იმ აღმოუჩენელი ლანდშაფტებით დაინტერესებამ წარმოშვა, რომლებიც ქალაქის ყოველდღიურობის პარალელურად არსებობენ. არქიტექტურა, ინდუსტრიული შენობების ისტორია, მათ მიერ შენახული მეხსიერება და მათი შესაძლებლობები უხილავია. ინდუსტრიული კულტურა დაკარგულია და მემკვიდრეობად არ განიხილება.

პოსტსაბჭოთა და პოსტინდუსტრიული თბილისი, თავისი ისტორიული წარსულის და სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, მრავალშრიან და ნიშნებით დატვირთულ ქალაქად იქცა.

საბჭოთა კოლექტიური საზოგადოებიდან ნეოლიბერალურ წყობაზე გადასვლით, კერძო საკუთრებაზე ორიენტირებული პოლიტიკური ხედვების პირობებში, ქალაქმა ტრანსფორმაციის სპეციფიკური გზა გაიარა. 90-იან წლებში დაწყებულმა პრივატიზაციის მძლავრმა ტალღამ და სახელმწიფო მმართველთა მხრიდან საზოგადოებრივი ცნობიერების არარსებობამ, თბილისი სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული დეველოპერების ხელში დატოვა. ყოფილი ინდუსტრიული ნაგებობების დღევანდელი სურათის უკეთ დასანახად, მნიშვნელოვანია აღწერილ კონტექსტში სხვადასხვა ისტორიული მოვლენის, მათი ცვლადების, ქრონოლოგიის და ურთიერთსაპირისპირო მიმართებების გააზრება.

ინდუსტრიალიზაციის მოკლე ისტორია
მოდერნიზმის ესთეტიკა

თბილისის ინდუსტრიალიზაციის მოკლე ისტორიული მიმოხილვაც კი, წარმოაჩენს ინდუსტრიული არქიტექტურის სტილისტურ და ენობრივ სიმდიდრეს. მე-19 საუკუნეში, კაპიტალიზმის გაძლიერებასთან ერთად, თბილისში როგორც სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში ფართომასშტაბიანი წარმოება იწყება. ქარხნები ძირითადად ინდივიდუალური პროექტების მიხედვით შენდება, სამშენებლო მასალად ფართოდ გამოიყენება აგური როგორც, ადგილობრივი წარმოების პროდუქტი.

ინდუსტრიულ ნაგებობებში აღსანიშნავია ადგილობრივი არქიტექტურული ელემენტების ინტეგრირება - ხალხური არქიტექტურული მოტივებისთვის დამახასიათებელი სიმბოლოების და სხვადასხვა ნიშნის ინდუსტრიულ ფორმებში თარგმნით გამორჩეული ესთეტიკის მქონე არქიტექტურული ენა ყალიბდება.

საბჭოთა პერიოდში მრეწველობის მასშტაბი საგრძნობლად იზრდება. მიმდინარეობს ძველი ქარხნების მოდერნიზება და ახლების თანამედროვე დანადგარებით აღჭურვა. წარმოების გაფართოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი და იაფი სამშენებლო მასალების ფართოდ გამოყენების პრაქტიკა. მეტალურგიის და ბეტონის მრეწველობის შემდგომმა განვითარებამ მშენებლობაში რკინაბეტონის დანერგვა განაპირობა, რომელიც დიდმალიანი გადახურვის და ფართო ღიობების მეშვეობით სივრცის ბუნებრივად განათებას უწყობს ხელს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამრეწველო შენობების არქიტექტურა უფრო პრაგმატული დიზაინით, მარტივი ფორმებით და ტიპიური გეგმარებით ვითარდება - ფორმა მიჰყვება ფუნქციას, მზიდი კედლები ბეტონის პანელებია, გადახურვისთვის გამოიყენება რკინაბეტონის ასაწყობი ფერმები. ფასადები ყოველგვარი დეკორაციის გარეშეა, უზარმაზარი ღიობები განათების და ინსოლაციის წყაროა, დიდი სივრცეები დანადგარების განსათავსებლად და სასაწყობედ გამოიყენება.

დაკარგული იდენტობა - დაკარგული ისტორიები
რა გვაქვს ახლა?

საქართველოში, დეინდუსტრიალიზაციის პროცესს ღრმა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ერთი ათწლეულის განმავლობაში, მთლიანად მოიშალა და გაქრა სამრეწველო საქმიანობა. საბჭოთა საწარმოო ქსელისგან მოწყვეტილ, პირველადი საქონლისა და მასალის გარეშე დარჩენილ ქარხნებში მრეწველობის გაჩერება გარდაუვალი იყო. დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ უზრუნველყო საწარმოების ადგილობრივი ნედლეულით მომარაგება.

მოიშალა საწარმოო საქმიანობა, რამაც როგორც ეკონომიკური, ასევე იდეოლოგიური კრიზისი გამოიწვია. ეს პროცესი კი თავის მხრივ ინდუსტრიული კულტურის ჩამოშლას და მასთან დაკავშირებული ადამიანების ცხოვრების წესის ცვლილებაზე აისახა. დაიკარგა თაობა - პროფესიები, მათი იდენტობა, გაქრა წარმოებასთან დაკავშირებული ცხოვრების წესი და ყოველდღიურობა, უამრავი დარგის სპეციალისტის ცოდნას დაეკარგა ფასი და მნიშვნელობა. ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სისტემამ ვერ შეძლო ინდუსტრიული სექტორის შენარჩუნება და დეინდუსტრიალიზაციის პროცესის შეჩერება. ამჟამად ყოფილი სამრეწველო შენობების 99% პრივატიზებულია და კერძო ბიზნესის ინტერესებს ექვემდებარება.

თბილისს დიდი საბჭოთა მეხსიერება აქვს. ქალაქის 17%, ყოფილ საწარმოო ტერიტორიებს უკავია, რომლებსაც საცხოვრებელ გარემოსთან მჭიდრო კავშირი აქვთ.

ქალაქში ყველაზე დიდი უბნები წარმოებას უკავშირდებოდა, საბჭოთა ქალაქგეგმარების პირობებში საწარმოო ტერიტორიების ირგვლივ დასახლებების დაგეგმვა, თანამშრომლების საცხოვრებელი და დასასვენებელი ობიექტების განთავსება, ქალაქის ზრდის და განვითარების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო. ამ კომპლექსებთან ერთად ყალიბდებოდა ურბანული გარემო და სამეზობლო თემი. თბილისის რამდენიმე უბანს დღესაც შემორჩა ძველი სახელი, ავჭალაში ახლაც არის კონიაკის დასახლება, ზეემკა (ლითონის ნაკეთობათა ქარხანა), ასევეა თემქა - თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ცენტროლიტი და სხვა.

ამ მეხსიერებამ ქალაქის იდენტობა ჩამოაყალიბა, ისტორიები მოგონებებად დარჩა და ქალაქის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს ადგილები, სამეზობლოები, შენობები ისტორიის და ამ შემთხვევაში საბჭოთა წარსულის მატერიალურ დოკუმენტაციას წარმოადგენენ.

გამოწვევა მომავლისთვის
საზიარო საკუთრება

დღეს, ქარხნების ნაცვლად მრავლად გვაქვს უფუნქციო და მიტოვებული ადგილები - რამდენიმე მათგანი სამეზობლომ საერთო გამოყენების სივრცედ აქცია. ზოგიერთი შენობა ფუნქციონირებს როგორც ბაზარი, ხოლო დანარჩენი - როგორც ძველი მანქანების საწყობი. აგრეთვე, სივრცეები საამქრო - სახელოსნოებად და მცირე ზომის საწარმოებად გამოიყენება.

გვხვდება საცხოვრებლად ათვისებული შენობა ან კომპლექსის ერთი ნაწილი. თუმცა, მათში საცხოვრებელი პირობები, ისევე როგორც, შენობების სტრუქტურული მდგრადობა, ძალიან მძიმეა. ხშირია შემთხვევები, სადაც დამახინჯებულია არქიტექტურული იერსახე გარემო კი, სახეცვლილი და დამთრგუნველია.

თბილისში ყოფილი საწარმოო ობიექტების შენარჩუნების და რევიტალიზაციის რამდენიმე ცნობილი მაგალითიც არსებობს, ადგილების, სადაც ძველი ფაბრიკა-ქარხნები მრავალფუნქციურ სივრცედ გარდაიქმნა. ეს სივრცეები ყურადღებას იპყრობს როგორც ადგილობრივების, ისე ქალაქის სტუმრების მხრიდან. ზოგიერთი მათგანი ქალაქის ახალ ღირსშესანიშნაობად იქცა.

ასეთი მაგალითები იშვიათია და სამწუხაროდ არ ცვლის ფაქტს, რომ ყოფილი საწარმოო შენობების ბედი და განვითარების საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დგას. პოზიტიური მაგალითები იშვიათ შემთხვევად რჩება და მათი არსებობა კერძო მესაკუთრის

კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მომავლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ინდუსტრიული ობიექტებისთვის მნიშვნელობების მინიჭება და საკუთრების ფორმების განსაზღვრაა. მათი რესურსად დანახვა და მოცემულობად მიღება აჩენს სივრცეს ახალი ხდომილებისთვის.

განუსაზღვრელი სივრცეები მიმზიდველია მათთვის ვისაც, ადგილის შემეცნება, მის სიღრმეში არსის და ახლის აღმოჩენის პროცესი აინტერესებს.

Industrial Heritage of Tbilisi
Natalia Nebieridze, Tata Gachechiladze

In the modern world all spaces are defined. Together with society, certain spaces create their own rules. Traditions suggest, even dictate attitudes of what to, or how to... Undefined emptiness can be understood as a metaphor and a sign for possible new happenings. The invisible narratives of the former industrial sites are somewhere there manifesting themselves as a presence...

Invisible Landscape
Narrative of the decay

The following text is an attempt to describe the core happenings that represent complex narratives of the industrial "Heritage" of Tbilisi. As a post-Soviet, post Industrial city, Tbilisi, with a huge historical background beginning from the VI century, has been transformed into a multilayered and diverse place. Between this transition from Soviet collectivist society, into the neoliberal, privately owned, and capitalistic realm, the city, as an economic and cultural center of the (not yet developed) country, has shown a very specific path of development. The privatization wave that started in the'90s, the lack of political will and awareness of the city governance, has thrown the city directly into the hands of income-oriented real-estate developers. In order to perceive the reality of former industrial sites of Tbilisi in the described context, one has to overview the multiple juxtapositions with the chronology of historical movements.

The will to study the "Industrial Heritage" of Tbilisi has emerged from the interest in undiscovered landscapes that coexist in a parallel reality with the everyday life of the city. The architecture, the history of former industrial buildings, the memories kept by them, and the spirit behind them, are invisible to mainstream society. Thus the Industrial culture is lost and it is not recognized in the context of the heritage.

Brief History of Industrialization
Aesthetics of Modernism

Even the short overview of the history of Tbilisi's industrialization reveals how noticeable industrial architecture has been in terms of architectural styles. Large-scale manufactures were launched in Tbilisi, as, with the development of capitalism in the XIX century, it became the administrative and cultural center of the South Caucasus. Factories were mostly built according to individual projects. Brick, as a locally produced building material, was widely used in construction. There are several remarkable examples in the city representing the integration of local architectural elements with the industrial architecture - simplified and reorganized symbols of vernacular Georgian architecture translated into industrial architectural forms have created a very special aesthetic of the Industrial Architectural language.

The creation of large-scale industry all over the country, including Tbilisi, started during the Soviet era. Old factories were modernized and new ones were technically advanced. Utilizing and introducing local and cheap construction materials has played a significant role in the formation of industry. Further development of the local metallurgy and concrete industry allowed a wide use of steel construction with reinforced concrete. This has created the possibility to improve large-scale roofing and lighting systems. After World War II, the industrial buildings were presented in a more pragmatic design, with simple forms and typical plans. The form follows function; the walls were constructed with large concrete panels. Precast reinforced concrete trusses were used for roofing. Facades were designed without any decorations, they had huge openings for natural light and large spaces for machinery and goods.

Lost Identities - Lost Histories
What do we have now?

De-industrialization in Georgia had deep geopolitical and economic reasons, after the collapse of the Soviet Union it happened very drastically. Deconstruction of the industry was obvious, because of the fact that factories were left without primary goods and materials, before being connected to the soviet networks of production, independent Georgia could not manage to supply factories with local raw materials.

This process of dismantling has caused not only economic but also an ideological failure, as it has affected industrial culture as much as the lives of people connected to it. The generations have been lost - their identities, professions, lifestyles connected to Industrialisation have vanished, their values have disappeared and become unuseful. Independent Georgia, where the free market economic system was established, failed to sustain the industrial sector and accelerate the deindustrialization process. 99% of the former industrial buildings have been privatized and are owned by business sectors. As the post-Soviet city, Tbilisi has a large Soviet memory - 17% of the city plot is covered with the former industrial sites and brownfields (according to the report offered by the Municipal Government). Moreover, some of the biggest districts of the city have been connected to the industries as it was widely accepted that settlements be planned along with the industrial complexes, including housing and entertaining facilities for the workers, who, together with the factories themselves, have formed an urban environment and communities. Even now, there are districts named after the factories in Tbilisi.

These memories are kept and are part of the identity of the city; the sites, neighborhoods, and buildings themselves could be understood as documentation of the history and material for comprehending the past.

Challenge for the Future
"Privately owned share"

Today, instead of functioning factories, there are lots of abandoned areas, some of which are adaptively reused by the locals. People took advantage of this situation and turned them into privately owned common spaces. Some of the transformed buildings operate as a marketplace, either for the old car storage, workshops, or for the living, but their structural conditions, as well as comfort or stability, are poor. The architectural appearance of buildings is often changed dramatically and the environment around them is full of misery.

However, there are some positive examples for the preservation of industrial heritage, such as the transformation of old industrial buildings into multifunctional spaces for the creative industries. These spaces are socially vibrant, and attract lots of attention, from both the locals and tourists. These sites have become the new landmarks of the city.

Such examples are quite rare and, unfortunately, do not change the fact that preservation or needed attention for the former industrial buildings, is not a strategic, planned, and organized process on the political level. It still remains a temporary attempt of an individual vision dependent on private owners' goodwill.

One of the biggest challenges for the future could be to define new meanings and new types of ownership for the unused places, just like already revitalized ones have found their new purpose when they have been seen as a resource for something else... Another challenge is to bring the topic to the active discourse for the society, to overview and reevaluate the Industrial heritage of Tbilisi without romanticizing it.


Meanwhile, undefined spaces remain attractive for the seekers, who are interested to explore the characteristics of the very place, to dig deeper in the essence with an attempt for new findings.

თამბაქოს ქარხანა / THE TOBACCO FACTORY



თამბაქოს ქარხანა (საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თამბაქოს მრეწველობის ტრესტი „საქთამბაქო") / ყოფილი ,,ძმები სეილანოვების თამბაქოს ფაბრიკა";
მისამართი: მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. 125 (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი);
არქიტექტორი: უცნობია;
მშენებლობის პერიოდი: 1913;
ფუნქციონირების პერიოდი: 1913-2000-იანი წლები;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 4,316.00 კვ.მ.;
შენობის ფართობი: 5 შენობა;
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: ტერიტორია გაყოფილია ორ ნაწილად, ერთი ნაწილი უკავია თამბაქოს ქარხნის ისტორიულ შენობას, რომელსაც გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. შენობა საკმაოდ დაზიანებულ მდგომარეობაშია, ნაწილობრივ ჩამონგრეულია სართულშუა გადახურვა, ჩამოხსნილია კარ-ფანჯარა, დაზიანებულია ინტერიერი. ტერიტორიის მეორე ნაწილზე შენდება საცხოვრებელი კორპუსი.

The Tobacco Factory (The Tobacco Industry Trust *Saktambako* of the Ministry of Food Industry of the Georgian SSR) / Originally *Brother Seilanovs' Tobacco Factory*;
Address: Mikheil Tsinamdzghvrishvili st. 125 (Didube-Chughureti District);
Architect: unknown;
Construction period: 1913;
In operation: 1913-2000s;
Ownership type: private;
Area: 4,316.00 sq. m;
Building area: 5 buildings;
Current function and condition: the territory is divided into two parts. The historic building of the tobacco factory is located on one part. It is listed as an immovable monument of cultural heritage. The building is quite damaged, roofing between the floors is partially collapsed, doors and windows are removed, the interior is demolished. A residential building is being constructed on the second part of the territory.



თბილისის წისქვილკომბინატი / THE FLOUR MILLING PLANT OF TBILISI



თბილისის წისქვილკომბინატი, იგივე ფქვილის ქარხანა;
მისამართი: მოსკოვის გამზ. 15 (ისანი-სამგორის რაიონი);
არქიტექტორი: უცნობია;
მშენებელი: მოსკოვის სააღმშენებლო ორგანიზაცია
„ხლებოსტროი";
მშენებლობის პერიოდი: 1931-1935 წწ.;
ფუნქციონირების პერიოდი: 1935-2000-იანი წლები;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 56,454.00 კვ.მ.;
შენობ(ებ)ის ფართობი: 25,291.4 კვ.მ.;
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: ტერიტორია კერძო
საკუთრებაშია. არ ფუნქციონირებს არანაირი დანიშნულებით.



The Flour Milling Plant of Tbilisi;
Address: Moscow Ave. 15 (Isani-Samgori District);
Architect: unknown ;
Constructor: *Khlebostroy* construction company of Moscow;
Construction period: 1931-1935;
In operation: 1935-2000s;
Ownership type: private;
Area: 56,454.00 sq. m;
Building area: 25,291.4 sq. m;
Current function and condition: the territory is in private ownership. Currently it does not operate.

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა / THE TEA WEIGHING PLANT OF TBILISI




თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა (საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ ,,საქართველოს ჩაი"-ს თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა);
მისამართი: დავით სარაჯიშვილის ქ. 6 (გლდანი-ნაძალადევის რაიონი);
არქიტექტორი: ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (1898-1977);
მშენებლობის პერიოდი: 1937-1940 წწ.;
ფუნქციონირების პერიოდი: 1941-1996 წწ.;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 53,213.00 კვ.მ.;
შენობების საერთო ფართობი: 29,235.00 კვ.მ. (სულ 31 შენობა);
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: 1996 წლის შემდეგ საწარმო თავისი პროფილით აღარ მუშაობს. ფაბრიკის ტერიტორიის ნაწილი იჯარითაა გაცემული და გამოიყენება ჩაის და სხვადასხვა სახის პროდუქციის საწყობებად.



The Tea Weighing Plant of Tbilisi (Tbilisi Tea Weighing Plant of *Georgian Tea* Trust of the Ministry of Food Industry of the Georgian SSR);
Address: David Sarajishvili st. 6 (Gldani-Nadzaladevi District);
Architect: Aleksandre Nikolaishvili (1898-1977);
Construction period: 1937–1940;
In operation: 1941–1996;
Ownership type: private;
Area: 53,213.00 sq. m;
Building area: 29,235.00 sq. m (31 buildings in total)
Current function and condition: the plant has not been working with its primary function since 1996. Part of the territory is rented out and used as warehouses for tea and other products.







კარკასულ-პანელოვანი ქარხანა ,,მაღლივმშენი";
მისამართი: გრ.ხანძთელის ქ. 4;
არქიტექტორი: უცნობია;
მშენებლობის პერიოდი: 1960-იანი წლები;
ფუნქციონირების პერიოდი: 1964 წ - დღემდე;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 76 360 კვ.მ;
შენობის ფართობი: 43 შენობა-ნაგებობა;
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: ტერიტორიაზე არსებული მხოლოდ ორი შენობა არის ფუნქციური, სადაც იწარმოება სამშენებლო ბლოკები. ყოფილი სარეკრეაციო ცენტრი დღეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადილებული პირების საცხოვრებლად გამოიყენება.

The Framework and Panel Factory *Maghlivmsheni*;
Address: Gr. Khandzteli st.4;
Architect: unknown;
Construction period: ca. 1960s;
In operation: 1964-present;
Ownership type: private;
Area: 76 360 sq.m;
Building area: 43 Buildings;
Current function and condition: only two of the buildings are functional and produce blocks. The former recreational center has been adapted for residential space. Internally displaces persons from Abkhazia live there.

თბილისის ,,სამტრესტის" ძმრის ქარხანა / THE VINEGAR FACTORY OF *SAMTRESTI* OF TBILISI



თბილისის ,,სამტრესტის" ძმრის ქარხანა;
მისამართი: ფეიქრების ქ. 14 (გლდანი-ნაძალადევის რაიონი);
არქიტექტორი: ო.წიკლაური (დამკვეთი ,,სამტრესტი", მიმღები ,,საქკვებმრეწსაპროექტო" / საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი);
მშენებლობის პერიოდი: 1983 წ.;
ფუნქციონირების პერიოდი: პირვანდელი დანიშნულებით არ უმუშავია;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 10,238.00 კვ. მ.;
შენობის ფართობი: 4,464.16 კვ.მ. (სულ 6 შენობა);
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: შენობა კერძო საკუთრებაშია და იჯარით არის გაქირავებული. ტერიტორიაზე განლაგებულია ავტოგასამართი სერვისები, სასაწყობე და საცხოვრებელი სივრცეები.

The Vinegar Factory of *Samtresti* of Tbilisi;
Address: Peikrebi st. 14 (Gldani-Nadzaladevi District)
Architect: O. Tsiklauri (commissioned by *Samtresti*, received by *Sakkvebmretssaproekto* / The Scientific-Research Institute of Food Industry of Georgia);
Construction period: 1983;
In operation: never worked with the primary function ;
Ownership type: private;
Area: 10,238.00 sq. m;
Building area: 4,464.16 sq.m (6 buildings in total);
Current function and condition: the building is in private ownership and rented out. Automobile repair shops, warehouses, and residential spaces are located on the territory.



თბილაბრეშუმი / TBILABRESHUMI





თბილაბრეშუმი;
მისამართი: დ.გურამიშვილის გამზ.64 ;
არქიტექტორი: უცნობია;
მშენებლობის პერიოდი: 1980-იანი წლები;
ფუნქციონირების პერიოდი: 1980-1990-იანი წლები;
საკუთრების ფორმა: კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 67 531 კვ.მ;
შენობის ფართობი: 20 შენობა-ნაგებობა;
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა: დაყოფილია კომერციულ სივრცეებად და გაცემულია იჯარით სხვადასხვა კომპანიაზე. შენობის ზედა სართულებზე განთავსებულია საწყობები.

Tbilabreshumi;
Address: D. Guramishvili Ave.64;
Architect: Unknown;
Construction period: 1980s;
In operation: 1980-1990s;
Ownership type: private;
Area: 67 531 sq.m;
Building area: 20 Buildings;
Current function and condition: It is divided into commercial units and rented out to different companies. The upper floors of the building are warehouses.

ნაციონალური პურის ქარხანა / THE NATIONAL BREAD FACTORY




ნაციონალური პურის ქარხანა;
მისამართი: აქვსენტ ისაკიანის ქუჩა 1 (გლდანი-ნაძალადევის რაიონი);
არქიტექტორები: შოთა ბოსტანაშვილი (1948-2013), ვახტანგ დავითაია (*1934);
მშენებლობის პერიოდი: 1983-1987 წწ.;
ფუნქციონირების პერიოდი: 1987-1990-იანი წლები;
საკუთრების ფორმა:კერძო;
ტერიტორიის ფართობი: 4,290.00 კვ.მ.;
შენობის ფართობი: 1,798.00 კვ.მ.;
დღევანდელი ფუნქცია და მდგომარეობა:შენობაში გახსნილია პლასტმასის და სხვა მიკრო საწარმოები.

The National Bread Factory;
Address: Akvsent Isakiani st. 1 (Gldani-Nadzaladevi District);
Architects: Shota Bostanashvili (1948-2013), Vakhtang Davitaia (*1934);
Construction period: 1983-1987;
In operation: 1987-1990s;
Ownership type: private;
Area: 4,290.00 sq. m;
Building area: 1,798.00 sq. m;
Current function and condition: plastic material enterprise and other micro-enterprises operate in the building.





ნაციონალური პურის ქარხანა
დავით ბოსტანაშვილი



(1)

არქიტექტორები: შოთა ბოსტანაშვილი, ვახტანგ დავითაია.

პრემია: 1987 წ. გრან-პრი ნაციონალური პურის საცხობისათვის ქ. თბილისში. მოსკოვი. საკავშირო დათვალიერება - კონკურსი ,,წლის საუკეთესო ობიექტი".

XX საუკუნის თანამედროვე არქიტექტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი სამრეწველო შენობებს უკავია. ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული, ახალი სამშენებლო მასალებით შექმნილი სამრეწველო ნაგებობები - ვაგზლები, ხიდები - თანდათანობით იკავებენ ადგილს ისტორიული ქალაქების შიგნით და საზოგადოების ცნობიერებაში. მე-19 საუკუნის ბოლომდე, არქიტექტურა, მიყვება რა კლასიკურ იდეალს, ემიჯნება მშენებლობის ამ ახალ, ტექნოგენურ ენას. ტელფორდის ხიდები, პექსტონის ბროლის სასახლე, ეიფელის კოშკი, მანქანების გალერეა და სხვა ნაგებობები მშენებლობის ისტორიას და ინჟინრის პროფესიას ეკუთვნიან; არქიტექტურა საკუთარ გზას მიყვება.


პიტერ ბერენსის AEG ტურბინების ქარხანა (1908) ერთ-ერთი პირველი შენობაა, რომელიც საინჟინრო ნაგებობას არქიტექტურულ ხარისხს ანიჭებს და ამით არქიტექტურის ისტორიაში ეწერება. უკვე 1911 წელს, ვალტერ გროპიუსის ფაგუსის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ვხედავთ თანამედროვე არქიტექტურის ახალ ენას. თუ ადრე არქიტექტურის ისტორიას წერდა ტაძარი, სასახლე, მავზოლეუმი და ამ ობიექტებში შემუშავებული პარადიგმა ყველა სხვა შენობაზე ვრცელებოდა, ახალ ეპოქაში სამრეწველო შენობა სულაც არქიტექტურული ლექსიკონის წყაროდ იქცა. ეს სულისკვეთება კარგად ჩანს ლე კორბუზიეს 1923 წლის წიგნში „არქიტექტურისკენ", რომლის ფურცლებზე მოტანილია ამერიკული მარცვლეულის შესანახი ელევატორების ილუსტრაციები. ,,მესიჯი" ნათელია - ახალმა არქიტექტურამ ამ უტილიტარული ობიექტებიდან უნდა გამოიტანოს დასკვნა ფორმისა და ფუნქციის კავშირის ფუნდამენტურ პრინციპებზე. ,,პატიოსანი" შენობის მითი გვირგვინდება მის ვან დერ როეს გამონათქვამით: ,,თუ სწორად ვაშენებთ, ქარხანა და ეკლესია ერთმანეთისგან არ განსხვავდება", რისი ილუსტრაციაც მისივე IIT კამპუსის კაპელაა (1952 წ).

პური სისტემის არსობისა - საბჭოთა კავშირის პირველივე წლებიდან პურის ინდუსტრიული მასშტაბებით ცხობა უმთავრესი ამოცანაა. 1930-იან წლებში იქმნება მიქოიანის სახელობის ქარხანა ავტომატის მოდელი - ცილინდრული ფორმის კონვეიერი. ამგვარი ქარხანა ავტომატები სხვადასხვა ნომრით (ნომერი 5, ნომერი 7) დღემდე შემორჩენილია ყოფილი სსრკ - ს ქალაქებში. თბილისის პურის ქარხანა სხვა ეპოქას ეკუთვნის და ამავე დროს, საავტორო ნაწარმოებია. თუ თანამედროვე არქიტექტურის პარადიგმაში სახლი ბაძავს ქარხანას, აქ თავად ქარხანა წააგავს სახლს. მოხდა საწარმოო პრაგმატული ნაგებობის გადათარგმნა კულტურის, სემანტიკურად დატვირთული არქიტექტურული ნიშნების ენაზე - ბოკონებზე შემდგარი სახლები, ხიდი, ბაზილიკა. ეს სახლები აღნიშნავენ არქიტექტურის მარადიულ სახეებს, რაც სახლებად წარმოდგება.

პირობითად შეიძლება შენობის კომპოზიციაში სამი ნაწილის გამოყოფა: ცენტრში არსებული დიდმალიანი მთავარი საამქროს წინ გათამაშებულია არქიტექტურული სცენოგრაფია - შიდა ეზოს და პარადული კიბის გარშემო შემოკრებილი მოცულობები ეგებებიან პურის საყიდლად მოსულ ვიზიტორს და ქართული ტრადიციული პურის წარმოების სრულ სცენარს განასახიერებენ: წყლის წისქვილის ბორბლით დაწყებული, პურის რიგის აღმნიშვნელი ხიდურით დამთავრებული. ოდა სახლის მატარებელი ნიშნების მოცულობებში განლაგებულია თონის საცხობი, ტრადიციული წისქვილი, სადეგუსტაციო დარბაზი და პურის მაღაზია, სადაც პირდაპირ ხიდურის საშუალებით ვხვდებით. თონის პურის მოლოდინში დგომა კულტურული მნიშვნელობების მატარებელი ნარატივია. ამ ნარატივის ნივთიერი გასაგნებაა ხიდური. მისი შესასვლელი აღნიშნულია სახლის სიმბოლური სილუეტით. ხიდი, საკრალურსა და პროფანულს, პურის სახლსა და გარშემო არეალს შორის, საზღვარს აღნიშნავს. საკრალურობის იდეას ამყარებს შიდა ეზო და წყლის სარკე. შიდა ეზოდან რამდენიმე საფეხურის საშუალებით პირდაპირ ვხვდებით დიდმალიან საამქროში. შენობის კომპოზიციის მესამე, უკან განლაგებული მოცულობა წარმოადგენს შესასვლელის ერთობას თანამშრომლებისთვის. ამ ნაწილში ხდება ნედლეულის მიღება, დასაწყობება და მზა პროდუქციის ექსპედიცია. შენობის მთავარი საწარმოო მოცულობის მასიურობას და ჰორიზონტალურ განვითარებას უპირისპირდება ფქვილის შესანახი ელევატორები. ტექნიკური ძალისხმევის შედეგად მოხერხდა ელევატორების ღიად დატოვება, რაც ქარხნის მნიშვნელოვან სემანტიკურ ელემენტად იქცა. ეს მასიური ცილინდრული ფორმები უფრო მეტად, კოლონების ასოციაციას იწვევენ, ვიდრე ტექნოგენური დანადგარისა. შეიძლება ითქვას, რომ შენობის არც ერთი ელემენტი ხაზს არ უსვამს ტექნოლოგიას. ტექნოლოგია ხორციელდება, თუმცა შენობა არქიტექტურის საკუთარი კოდებით საუბრობს.

ქარხანა წარმოადგენს აგურით ფორმათშემოქმედების დახვეწილ ნიმუშს. დეტალები ინდივიდუალური და გულმოდგინე დამუშავების შედეგია. სწორედ ეს განასხვავებს მას ინდუსტრიული, მასობრივი სამშენებლო წესებისგან. ეს უკიდურესი ინდივიდუალობაა, რითაც შენობა გვიანდელ საბჭოთა არქიტექტურის კონტექსტში, განსაკუთრებულ მოვლენად გვევლინება.

ქარხანაში მომუშავე ადამიანი თავად ხდება მისი მექანიზმის ნაწილი. თბილისის პურის ქარხანა გარდასახულია პურის სახლად, რომელსაც ყავს სტუმრები და მობინადრეები. ეზო, ხიდი, ოდა სახლები, წყლის სარკე, აივანი, სახასიათო სახურავი, მომუშავე პერსონალისთვის, ქმნიან სახლის აზრის მატარებელ გარემოს. სწორედ ამიტომ მიენიჭა შენობას 1987 წელს საუკეთესო შენობის სტატუსი და გრან პრი ,,სამუშაო გარემოს ჰუმანიზაციისთვის". შენობა მიმართავს და ესაუბრება ადამიანს - როგორც მასში მომუშავეს, ისე მის დამთვალიერებელს.




(2)

თავდაპირველად ასევე ჩაფიქრებული იყო ქარხნის მუშებისთვის დასასვენებელი შენობის აგება. შოთა ბოსტანაშვილის პროექტში ვკითხულობთ ბაზილიკის სილუეტის მატარებელ გულმოდგინე დეტალებით შესრულებულ პოეტურ ნაშენზე. ამ ობიექტის მშენებლობა დაიწყო, თუმცა არ დასრულებულა. ამჟამად მხოლოდ შემორჩენილი საძირკველი და კედლები ჩანს აღმოსავლეთით.

1990-იანი წლებიდან, მოხდა მიწიდან აწეული მოცულობების პირველი დონის ამოშენება კომერციული მიზნებისთვის. მოგვიანებით, ეს მინაშენები მოიხსნა, თუმცა ქარხანამ თანდათანობით საკუთარი ფუნქცია დაკარგა. ამჟამად ქარხანაში განთავსებულია სხვა დანიშნულების მცირე საამქრო. შენობის სახასიათო ელემენტები - ელევატორები მოხსნილია. ასევე საწყობისთვისაა გამოყენებული ,,ოდა სახლები". მთავარი შესასვლელი ხიდითა და კიბით დაცლილია პირველადი ფუნქციისგან.

დღეს ეს შენობა გვესაუბრება სხვა, პარალელური დროდან - იგი ამოვარდნილია ტიპიური საბჭოთა კონტექსტიდან. ეს პარალელური დრო შექმნა თავად არქიტექტორმა, რომლის დროშიც სახლმა სახე და სახელი იპოვა.

The National Bread Factory
David Bostanashvili



(3)

Architects: Shota Bostanashvili, Vakhtang Davitaia
Awards: Grand-Prix for the 'National Bread Factory' in Tbilisi, the Union Surveillance-Competition, Moscow, "Best Building of the Year"

Industrial buildings played a very significant role in forming XX century modern architecture. Since the Industrial Revolution, train stations, bridges and such, constructed with the new materials, increasingly became the city's integral part, as well as that of the general consciousness of the society. Up until the end of the XIX century, architecture, while following classical ideals, stood aside from a new, technogenic language of construction. Telford's Bridges, Paxton's Crystal Castle, the Eiffel's Tower, Galerie des Machines and other similar structures belong to the history of construction and the field of engineering; the architecture, in the meantime, follows its path.

Peter Behren's AEG Turbine Hall (1908) is one of the first buildings that brings architectural qualities into engineering constructions and thus holds an important position in the history of the field. Already in 1911, in Walter Gropius' shoe last Fagus Factory, we see a new language of modern architecture. If before this, the history of architecture was dictated by churches, castles, mausoleums, and the paradigm of issues decided within these buildings and then applied to all other constructs, in the new era, industrial buildings became a source of the architectural dictionary itself. This endeavor is apparent in Le Corbusier's 1923 book 'Toward an Architecture' where he illustrates American elevators, used as grain storages. The 'message' here is clear — new architecture, based on these utilitarian objects must conclude about the fundamental principles of the connection between the shape and function. The myth of 'honest' building is complemented with the statement Mies van der Rohe once made: 'If we build both correctly, factories and churches don't differ from one another', — a great testament of which is his creation, the IIT Campus Chapel (1952).

Bread as the symbol of life appears vital in a political system's existence, with the latter depending tremendously on the supply. For the Soviet Union, from the early years of its governance, the industrial bread-making becomes an essential mission. In the 1930s, we see the appearance of an automated cylindrical conveyor belt, named after Mikoyan, some examples of which (Number 5 or 7) can still be found in numerous former-Soviet cities.

Tbilisi Bread Factory, however, belongs to a different epoch and represents an original piece. If in the paradigm of modern architecture, the house resembles the factory, here the factory insinuates the house itself. A pragmatic industrial building, through semantically loaded signs of architecture, such as pillar foundations supporting houses, bridges, basilica, translates into a cultural language. These terms signify timeless images of architecture, which gave rise to houses (as a form of building).
Tbilisi Bread Factory can be seen as consisting of three parts: the largest and central column rounds architectural scenography — the inner yard and the constructions gathered about the processional staircase, greet the visitors and illustrate the whole scenery of producing the traditional Georgian bread: from a wheel of a water mill to the crane appointed for a bread queue. The Oda-alike buildings entail a bakery, traditional mill, a degustation hall and a bread shop where one can get in through the crane. Standing in the bread line, is a culturally loaded narrative whose objectivation is made possible through the bridge and its functions. The entrance resembles a symbolic silhouette of a house. The bridge represents a border between the sacred and profane — between the bread house and its surroundings. The sacred idea is supported by the inner yard and a water mirror. The yard by taking a few steps up takes us directly to the central pillar of the factory.

The third, back porch of the building serves as an entrance for the workers of this place. The zone is used to produce raw material, as well as the corner where it gets received, sorted and expedited as a finished product.

The substantial mass of the factory and horizontal expansion of the building are set against the flour-storing elevators. Due to technical efforts, it became possible to leave the elevators out and open, which, ultimately became a very important semantic element of the building. These massive cylindrical shapes strike more as columns rather than a technogenic equipment. It might be said that none of the elements of the factory embodies technology as such. While the latter being present, the building speaks in its own architectural 'codes'.
The bread factory represents a refined model of shaping by using brick as the main building material. All details here are a result of an individual and diligent treatment. It is what might be distinguishing this particular building from the ground rules of constructing a massive industrial enterprise. The great individuality separates the factory from an overall context of late-Soviet architecture, too.

The person working in the factory becomes part of its mechanism. Tbilisi Bread Factory is transformed into a bread house — a place that has both visitors and residents. The yard, bridge, Oda houses, the water mirror, balcony and a very peculiar rooftop altogether create a homely atmosphere for the workers of the enterprise. It is because of this that in 1987 the factory was awarded with a Grand-Prix 'for humanizing the workplace' and was given the status of the best building of the year. The structure with same keenness approaches and speaks to both its visitors and workers.

The initial plan also considered building leisure areas for the workers. In Shota Bostsanashvili's project we read about a poetic building, assumed to be built as basilica-shaped. The idea, however, was not finalized. On the eastern side of the factory we now see the base and walls of the part that were never finished.
In the 1990s, due to commercial purposes, they started building up the first level of the ground-based volumes. Later on, these extensions were removed, but the factory still lost its first and original function.
Currently, the former building of the bread factory houses a small department of a different enterprise. The main features of the building — the elevators, are now gone; the 'Oda houses' are also designed to serve as storages; the main entrance with the bridge and the staircase is also deprived of its initial purpose.

Today, this building speaks to us from a different, almost parallel time that is far from the typical Soviet context; the time that is a creation of Shota Bostanashvili – the author who gave the house its unique appearance and name in his lifetime.

გამოსახულებების სია
The list of images

1. ნაციონალური პურის ქარხნის მოდელი
   A model of the National Bread Factory
2. პურის ქარხნის მიმდებარე ნაკვეთზე ქარხნის მუშების დასასვენებელი სახლის მაკეტი (განუხორციელებელი)
   A model of unbuilt project for worker's house near the Bread Factory site
3. ნაციონალური პურის ქარხნის გეგმა
   A plan of the National Bread Factory


1
2
3
4
5
6
7
M Akhmateli Theatre
M Saarishvili
M Ghrmaghele
M Didube
M Nadzaladevi
M Tsereteli
M Technical University
M Medical University
M Vazha Pshavela
M State University
M Rustaveli
M Station square
M Liberty square
M Marjanishvili
M Avlabari
M 300 Aragveli
M Isani
M Samgori
M Varketili

* პროექტის ძირითადი გუნდი:

ავტორი და ორგანიზატორი: ნატალია ნებიერიძე, MUA Architecture & Placemaking

თანაავტორი და კოორდინატორი: თათა გაჩეჩილაძე

კურატორი და თანაავტორი: ნინი ფალავანდიშვილი

ფოტოგრაფი და თანაავტორი: ანგას ლედლი ბრაუნი

ხმა: ნათია სართანია / CES

პროექტის მონაწილეები MUA-ს გუნდიდან: ანა მარდალეიშვილი, ქეთი კაჭარავა, მარიკა კვირკველიძე, გიგა ქარელი, დავით წელაური, უჩა ზღუდაძე და ლილუ ძიმისტარიშვილი.

კვლევაში მონაწილეობდნენ: ანა ყიფიანი, ანი ჩუხრუკიძე, ანანო კვაჭანტირაძე, გიორგი რეხვიაშვილი, ნინო თოგოშვილი, თამარ ხარებაშვილი, თამუნა ჩერქეზიშვილი, მაქი კვიციანი, დეა ტრაპაიძე, ნინო ჯინჯიხაძე, ნინო გოცირიძე, სალომე კახაბერი, ირინა მასხულია, ნიკალა ღლონტი, რატი კუპატაძე, ანა თვარაძე, გიორგი სართანია, ლუკა გვანცელაძე.

პროექტი განხორციელდა MUA-ს ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით.

გამოფენა "თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა" განხორციელდა 2020 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში.

პროექტის თანადამფინანსებელია სსიპ შემოქმედებითი საქართველოს, კონკურსის ფარგლებში - „შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება" ქვეპრიორიტეტი „შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერება".

განსაკუთრებული მადლობა: არტარეას გალერეას, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმს, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს, დავით ბოსტანაშვილს, ჯესი ვოგლერს, დათა ჭიღოლაშვილს. ასევე, მადლობა პროექტის საწყის ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის ნოდარ კვანჭიანს.

პროექტის მედია პარტნიორები ჟურნალი ინდიგო • Indigo, სათემო რადიო თბილისი და Artarea/ Tv2.0

* Project Team:

Project Director and Author: Natalia Nebieridze, MUA Architecture & Placemaking

Co-author and coordinator: Tata Gachechiladze

Curator and Co-author: Nini Palavandishvili

Photographer and Co-author: Angus Leadley Brown

Sound: Natia Sartania / CES

Project participants from MUA's team: Ana Mardaleishvili, Keti Katcharava, Marika Kvirkvelia, Giga Kareli, Davit Tselauri, Ucha Zgudadze, and Lilu Dzimistarishvili.

Research participants: Ana Kipiani, Ani Chukhrukidze, Anano Kvachantiradze, Giorgi Rekhviashvili, Nino Togoshvili, Tamar Kharebashvili, Tamuna Cherkezishvili, Maqi Kvitsiani, Dea Trapaidze, Ninola Jinjikhadze, Nino Gotsiridze, Sali Kakhaberi, Irina Maskhulia, Nikala Ghlonti, Rati Kupatadze, Ana Tvaradze, Giorgi Sartania, Luka Gvantseladze.

The project is initiated and financially supported by MUA.

The exhibition «Tbilisi Industrial Heritage» was held within the framework of the 2020 Tbilisi Architecture Biennial.

Co-funded by LEPL Creative Georgia in the framework of the contest "Creative Industries Development"- sub priorities "Support for Eco-Systems in frames of Creative Industries".

Special Thanks to: Artarea Gallery, State Silk Museum, Tbilisi Architecture Biennial, Davit Bostanashvili, Jesse Vogler, Data Chigolashvili, Also, thanks to Nodar Kvanchiani for his contribution at the preliminary stage.

Project Media Partners are Magazine Indigo • Indigo, Community Radio Tbilisi, and Artarea/Tv2.0

ანგას ლედლი ბრაუნი პროფესიონალი ფოტოგრაფია. მისი სამუშაო 20 წელს მოიცავს. ანგასის კოლაბორაციებს შორის არის უნიკალური პროექტები ისეთი კომპანიებისთვის როგორებიცაა: Sony, Braun, BMW, Red Bull და ა.შ. მისი ფოტოები გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში. ბრაუნი ძირითადად ფირის ფოტოგრაფიაზე მუშაობს. მისი ფოტო პროექტები და დაკვეთები ხშირად კულტურას, კულტურ მემკვიდრეობას და სოციუმის ეძღვნება.

Angus Leadley Brown has been a professional photographer for over 20 years. He has done unique projects for Sony, Braun, BMW and Red Bull and has been published worldwide. His practice involves mainly analog photography and spans corporate commissions to projects based around culture, heritage and society.

დავით ბოსტანაშვილი არქიტექტორი და არქიტექტურის მკვლევარია. მან დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის სპეციალობით. 2007 წელს მოიპოვა არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი (სტუ). 2011 წელს მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის ხარისხი (სტუ). 2007 წლიდან დაკავებულია პედაგოგიური საქმიანობით. 2013 წლიდან არის სტუ ასოცირებული პროფესორი. ამავე წლიდან ხელმძღვანელობს სასწავლო სტუდია-სახელოსნოს „არქიტექტურის პოეტიკა“. იგი არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
დავით ბოსტანაშვილის საკვლევ სფეროს მიეკუთვნება არქიტექტურის და კულტურის სემიოტიკა, თანამედროვე მსოფლიო და ქართული არქიტექტურის ისტორია. გამოქვეყნებული აქვს ათეული სამეცნიერო სტატია და არის სამი წიგნის ავტორი.

Davit Bostanashvili is a graduate of the Architectural Faculty of Georgian Technical University. In 2007, Bostanashvili obtained a master's degree (GTU) and in 2011 completed his PHD (GTU). Since 2007, Davit has been occupied as the teacher and starting 2013, as the GTU associate professor. In the same year, he became the head of the educational studio 'The Poetics of Architecture'. Bostanashvili is the guest lecturer at both Free University and International Black Sea University in Tbilisi.
Davit Bostanashvili is involved in researching the semiotics of architecture and culture, as well as the modern world and the history of Georgian architecture. He is the author of numerous scientific research texts and three books.

თათა გაჩეჩილაძე კვლევითი პროექტის „თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა“ თანაავტორი და მკვლევარია. მისი ინტერესის სფეროებია კვლევა, კომუნიკაცია და არქიტექტურა. ამჟამად იგი MUA - Architecture & Placemaking -ში არქიტექტორის და მედია მენეჯერის პოზიციას იკავებს. ბოხუმის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის,ასევე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ თათა 2011 წლიდან აქტიურად არის ჩართული არქიტექტურულ საქმიანობაში. მისი პორტფოლიო მოიცავს როგორც არქიტექტურულ, ისე ურბანულ პროექტებს. იგი წერს სხვადასხვა ჟურნალისთვის არქიტექტურის, დიზაინის და თეორიის შესახებ. თათა თბილისში ჩატარებული პირველი და მეორე არქიტეტურის ბიენალეს აქტიური მონაწილე იყო (2018-2020).
2020 ჩატარებული კვლევის “თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა” თანაავტორობის და კვლევასთან ერთად, იგი კოორდინაციას უწევდა კვლევის პროცესს და მონაწილე სტუდენტების მუშაობას.
2018 წელს მან უხელმძღვანელა პროექტს საქართველო -საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონი, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე (2018).

Tata Gachechiladze is a co-author and researcher of the project "Tbilisi Industrial Heritage". Fields of her interest include architecture and communication. Currently Tata is an architect and media Manager at MUA - Architecture & Placemaking, an architectural company in Tbilisi, Georgia. After graduating with postgraduate Degrees from the University of Applied Sciences Bochum, Germany and Tbilisi State Academy of Arts Tata has been working as an Architect since 2011 - being part of different architectural and urban design Projects. She writes for various journals about architecture and design. Alongside co-authoring and researching the Tbilisi Industrial Heritage, Tata was the coordinator of the project and tutor of participant students. In 2018, she was in charge of the project "Georgia - Guest of honor pavilion" at the Frankfurt Book Fair. Tata was actively involved in the First and Second Architecture Biennial held in Tbilisi (2018-2020).

ნატალია ნებიერიძე არქიტექტორი და მულტიმედია ხელოვანია. მისი საქმიანობა მოიცავს არქიტექტურულ, ქალაქგეგმარებით, კვლევით და სახელოვნებო პროექტებს. “თბილისის ინდუსტრიული მემკვიდრეობა”, მისი საავტორო პროექტია რომელიც MUA-სთან ერთად შესრულდა. MUA - Architecture & Placemaking -ის გუნდს ნატალია 2017 წელს შეუერთდა, დღეს კომპანიის ასოცირებული პარტნიორი და პროექტირების ხელმძღვანელია. სახვითი ხელოვნების მიმართულებით განათლების მიღების შემდეგ, ნატალიამ სწავლა არქიტექტურის ფაკულტეტზე განაგრძო, რამაც მისი საქმიანობის სფერო თანამედროვე ხელოვნების სივრციდან არქიტეტურას დაუკავშირა.
ნატალია 2007 წლიდან აქტიურად მოღვაწეობს სახელოვნებო სფეროში, მისი ინიციატივით და თანამონაწილეობით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრები ძირითადად სივრცეზე ორიენტირებული ინსტალაციები და პერფორმანსებია.
ნატალია არის ინტერდისციპლინარული ჯგუფის MATERIAl'HUNTERS - ის წევრი და თანადამფუძნებელი, ასევე, ორგანიზაციების Real Labour for Future Urban Planners- ის და Campus-ის თანადამფუძნებელი.

Natalia Nebieridze is an architect and multimedia artist based in Tbilisi. Her work includes Architectural and urban design, concept development Projects, Participation in various interdisciplinary platforms through research and creative Studies, artistic and educational activities. She is an author of the Project "Industrial Heritage Tbilisi", the project was realized together with MUA. Natalia has joined MUA - Architecture & Placemaking in 2017, since then she is actively involved in all stages of the design. Since 2020 Natalia is an associate partner and Design Manager at MUA.
After graduating from the State Academy of Arts from the faculty of Fine Arts, she has continued her studies in Architecture taking BA level at TSSA and M.Arch level at Ilia State University.
Natalia has been working as a multidisciplinary Artist since 2007- being part of many different, group shows and exhibitions. Lately, she has been participating in projects such as Tbilisi Architectural Biennial (2020- 2018), Tbilisi Art Fair- War on Hold (2018), Museum of Transformation (2017); etc. As well as organizing and initiating events: UNDETERMINED (2017), Urban Development of Plekhanov; Avlabari Future Development, etc. Natalia is a member and co-founder of interdisciplinary group MATERIAl'HUNTERS, co-founder of "Real laboratory for Future Urban Planners", and Co-founder of organization "Campus".

ნინი ფალავანდიშვილი მკვლევარი და კურატორია. მისი კვლევის საგანია მე-20 საუკუნის მოდერნისტული არქიტექტურა, მონუმენტური და დეკორატიული ხელოვნება. იგი წერს საერთაშორისო გამოცემებისთვის, არის რამდენიმე წიგნის ავტორი და რედაქტორი, ინტერდისციპლინარული პროექტების კურატორი.

მისი პუბლიკაციებია: საბჭოთა პერიოდის მოზაიკები საქართველოში (რედ. ნ. ფალავანდიშვილი), თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა, 2019; თბილისი-It's Complicated (რედ. ნ. ფალავანდიშვილი, დ. ჭიღოლაშვილი, მ. სპლინტი), აინდჰოვენი: Onomatopee, 2019;
ხელოვნება არქიტექტურისთვის - საქართველო. საბჭოთა მოდერნისტული მოზაიკა 1960-1990 წლებში (რედ.ნ. ფალავანდიშვილი, ლ. პრენცი), ბერლინი: Dom Publishers, 2018;
თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი, Between Caucasus and the Black Sea, Architecture in Georgia (რედ. ადოლფ შტილერი), ვენა: ury Salzmann, 2018; საავტომობილო გზების სამინისტრო, SOS BRUTALISM. A Global Survey (რედ.: ო. ელზერი, პ. კურცი, პ. შმალი), ციურიხი: Park Books, 2017.

Nini Palavandishvili, freelance curator and a researcher. The focus of her research lies on Mid-century modernist architecture, monumental and decorative art, their role in a time of creation, and current interpretations. She writes for international publications, is an author and editor of several books, and curator of interdisciplinary projects.

Her recent publications include:
Mosaics of Soviet Period in Georgia (Ed. N. Palavandishvili), Tbilisi: Sulakauri Publishing, 2019; Tbilisi-It's Complicated (Ed. N. Palavandishvili, D. Chigholashvili, M. Splint), Eindhoven: Onomatopee, 2019; Art for Architecture - Georgia. Soviet Modernist Mosaics from 1960 to 1990 (Ed. N. Palavandishvili, L. Prents), Berlin: Dom Publishers, 2018; Tbilisi Chess Palace and Alpine Club, in Between Caucasus and the Black Sea. Architecture in Georgia (Ed. Adolph Stiller), Vienna: Mury Salzmann, 2018; Ministry of Automobile Roads, in SOS BRUTALISM. A Global Survey (Ed. O. Elser, P. Kurz, P. Schmal), Zurich: Park Books, 2017.

ნომრის რედაქტორები: ნატალია ნებიერიძე, თათა გაჩეჩილაძე, ანა ჩორგოლაშვილი
თარგმანი: ელენე კობიძე, ნატალია ნებიერიძე
გრაფიკული დიზაინი: ანა ჩორგოლაშვილი
სარედაქციო ჯგუფი: ელენე აბაშიძე, ანა ჩორგოლაშვილი, ირინე ჯორჯაძე

Edited by: Natalia Nebieridze, Tata Gachechiladze, Ana Chorgolashvili
Translated by: Elene Kobidze , Natalia Nebieridze
Graphic design: Ana Chorgolashvili
Danarti Editors: Elene Abashidze, Ana Chorgolashvili, Irine Djordjadze

ნომერი 16, ტირაჟი 300
გამომცემლობა გრიფონი, თბილისი 02/2022

Issue N16, 300 copies
Publishing House Grifoni, Tbilisi, 02/2022

Kunsthalle Zürich

M U A Architecture & Placemaking